სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 მაისი 2024

N 265/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, სს „რუსთავის აზოტის“ 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, სს „რუსთავის აზოტის“ 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N31;
2. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N31 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო